წერილის ნომერი: **17-01220612924**
თარიღი: **02/03/2022**
პინი: **4148**

ადრესატი: შპს ჯითი ინვესტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405123691
მისამართი: ქ.თბილისი დ.გურამიშვილის გამზ. 28

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01220562789-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მუნიციპალური ინსპექციის 2021 წლის 26 აპრილის N4-1/დ569-21 N000665 დადგენილებით შპს "ჯითი ინვესტი" დაჯარიმდა 15 000 ლარით ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი, N28-ში (ს/კ N01.12.08.016.006) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა) სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N4399109 06.03.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 132-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ობიქტის განმეორებით გადამოწმებისას დადგინდა, რომ სრულად არ იქნა აღმოფხვრილი 2021 წლის 26 აპრილის N4-1/დ569-21 N000665 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, დაიწყო საქმისწარმოება სამართალდამრღვევის მიმართ საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმების საფუძვლით და შედგა 02.03.2022წ. N000974 შემოწმების აქტი, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 123-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

პატივისცემით,

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

№000974 შემოწმების აქტის დანართი (ერთი ფურცელი)

„ა-თ" ფასადი: „თ" ღერძის გარეთ სართულების ნაწილზე მოწყობილია რიგელები.

„თ-ა" ფასადი: „დ" ღერძთან +3.30 ნიშნულის ზემოთ სართულებზე შეცვლილია ფანჯრების ნახატი.

-2.75 ნიშნულზე „ა" და „7" ღერძების კვეთის მიმდებარედ მოწყობილია კოლონა. „გ" ღერძის მიმდებარედ „1-2" მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა. ოფისების ნაწილში შეცვლილია ტიხრების განლაგება და გასასვლელი საშუალებების მოწყობა. შეცვლილია ბინების და გამმიჯნავი კედლების რაოდენობა.

ნაწილობრივ შეცვლილი და მოსაწყობია სახანძრო უსაფრთხოების სისტემების ნაწილი.

ტერიტორიაზე გაზრდილია შ.შ.მ პირთა პანდუსის დახრის პროცენტულობა და ქუჩის მხრიდან ვერ ხერხდება პანდუსების სრულყოფილად გამოყენება.

უფროსი სპეციალისტი /გ. ბაღაშვილი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000974

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 02.03.22წ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება შემოწმების აქტის შედგენით იწყება:

ა) 136-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას;

ბ) დარღვევისათვის საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიღებისას;

გ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

დ) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ე) უფლებამოსილი ორგანოსთვის იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისას, რომლის მშენებლობაც დამთავრებულია;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას;

ზ)138-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას, თუ ის ხორციელდება „ტყის ფონდის მართვის შესახებ" და „წყლის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, განსაკუთრებული რეგულირების ტერიტორიაზე ან ზონაში, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს „ტრი ნევსი" ს.კ. 405129369 ქ. ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, კოსტავას ქუჩა N43-1 ბინა 01/053.

ობიექტის დასახელება და მისამართი: მრავალფუნქციური ჯამბლექსი / შენობა. ქ. ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, კოსტავას ქუჩა, N28. ს.კ. N01.12.08.016.006.

შემოწმებით დადგინდა: არ არის აღმართული 2021 წლის 26 ივლისის N4911056 9-21 N000665 დადგენილებით დასრულებული ჯამბლის სამშენებლო სამუშაოები. დარღვევის შესახებ ხელი N000974 შემოწმების აქტი დასრულდა

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

[illegible]

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

[illegible] 02.03.2022 [illegible] პ/ნ 19001039300

სამშენებლო სამართალდამრღვევისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა უნდა მოხდეს ოფიციალურად, სამშენებლო ობიექტზე. თუ დამრღვევი არ იმყოფება სამშენებლო ობიექტზე ან უარს აცხადებს შესაბამისი აქტის/აქტების გაცნობაზე, გაცნობად ჩაითვლება აქტის/აქტების სამშენებლო ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება (საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი



განმარტებითი ბარათი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი #28 (საკ.კოდ. 01.12.08.016.006), დამკვეთი: შპს „ჯითი ინვესტი“ ID 405123691.

ტერიტორია არის ვაკე ადგილი, აღენიშნება 6 ძირი ხე-ნარგავი, მათ შორის: 5 ძირი ელდარის ფიჭვი ზეხმელი და 1 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი ზეხმელი.

ტერიტორიის საერთო ფართია: 989.6კვ/მ;

კ3-406.9კვ/მ.

დამოუკიდებელი ექსპერტ გრიგოლ დეისაძის პრობლემური მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების ანგარიში 27/08/2020 ფოტომასალით თან ერთვის.

ზეხმელი მცენარეების მოჭრასთან დაკავშირებით ნებართვა გარემოს დაცვის სამსახური წერილის # 18-01203441614 09 დეკემბერი 2020 თან ერთვის.

ხელშეკრულება მცენარეების შესყიდვისა და დამატებითი მომსახურების შესახებ 13 ოქტომბერი 2020 თან ერთვის.

გასანწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეთა სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან:

1.მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი-3 ძ;

2.წითელი ტყემალი-2ძ;

3.ჩვეულებრივი იფანი-2ძ;

4.კავკასიური ცაცხვი-2ძ;

5.ორნაკვთიანი გინკგო-3ძ;

6.ამერიკული ცაცხვი (საკომპენსაციო)-6 ძ;

7.აღმოსავლური ჭადარი-2 ძ.

სულ: 20 ძირი ხე-მცენარე.

აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქ.თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. საპროექტო ტერიტორა გამწვანდება შერეული ფოთლოვანი და სეზონურად ეფექტური ტიპის ნარგავებით,

არსებულ წიწვოვანებს დაემატება ფოთლოვანი მცენარეები, მცენარეთა შერჩევისას უპიტატესობა მიენიჭა დიდ ვარჯიან სახეობებს.

გამწვანების პროექტი დასრულდება სამშენებლო პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში ვეგეტაციური და აგროტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელია: შპს „ჯითი ინვესტი ID 405123691.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა იქნება სამი წელი.

ელისო ხარჩილავა

(პ/ნ 62004015900)

მწვანე მშენებლობის ინჟინერი

(AA #0039124)

30/01/22

არსებული სიტუაციური გეგმა



დამკვეთი:
შპს "ჯითი ინვესტი"
ს/კ 405123691
მისამართი: ქ. თბილისი
გურამიშვილი გამზირი № 28
ს/კ 01.12.08.016.006
საერთო ფართი 989,6მ^2
ტერიტორიაზე აღნიშნება
6 ძირი ზეხმელი ერთეული:
№№1;2;3;5;6-ელდარის ფიჭვი
№№4-კვიპაროზი









k3=406.9 м2
81.3 m2
40.7 m2
33.4 m2
116.2 m2
52.2 m2
16.7 m2
49.4 m2
41.7 ∂2 + 53.2 ∂2 + 19.2 ∂2 + 89.1 ∂2 +121.3 ∂2 +83.0 ∂2 = 406.9 ∂2



Объект: Многоквартирный жилой комплекс, Район Младост 1а, Парцел № 28 Кв/л 01.12 .08.016.006

Площ на терена 989,62 м²

Забележка за ел.захранване на КЗ 3 k3=406.9 м²

Легенда

1-Acer platanoides-3 броя

2-Prunus cerasifera-2броя

3-Fraxinus excelsior-2броя

4-Tilia begonilifolia-2броя

5-Ginkgo biloba-3броя

6-Tilia americana (Бъзмвзбъзбоу)-6 броя

7-Platanus-2 броя

მ ც ე ნ ა რ ე თ ა დ ა კ ვ ა ლ ვ ი ს გ ე გ მ ა


1
2
4
4/
5
6
7
8.000
8.000
3.300
2.700
5.500
5.500
0.500
3.500
0.300
6.900
2.100
6.500
3.00
3.00
3.00
4.00
3.00
3.00
3

მცენარეთა ექსპლიკაცია

#	მცენარეთა დასახელება		რაოდენობა	სიმაღლე მეტრებში	ღეროს დიამეტრი	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
1	Acer platanoides	მხვილფოთოლა ნეკერჩხალი	3	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, საშუალოდ მზარდი
2	Prunus cerasifera	წითელი ტყემალი	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
3	Fraxinus excelsior	ჩვეულებრივი იფანი	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
4	Tilia begonifolia	კავკასიური ცაცხვი	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	ჩრდილის მოყვარული,საშუალოდ მზარდი
5	Ginkgo biloba	ორნაკვთიანი ბინკბო	3	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, შემოდგომის ეფექტი სწრაფად მზარდი
6	Tilia americana	ამერიკული ცაცხვი	6	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი
7	Platanus	აღმოსავლური ჭადარი	2	3.5-5.5მდე	20სმ.დან	ხე	5-10წ	გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი

სამუშაოთა მოცულობა

#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამღვანებელი ტერიტორიის შართობი	კვ.მეტრი	407.5	
2	გასამღვანებელი ტერიტორიის გასუშთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	407.5	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიღის შეტანით	ცალი	20	
4	ხეების დარგვა	ცალი	20	
5	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის მოსაღყობად, 20%ტყის მიღის შეტანით	კვ.მეტრი	407.5	
6	გაზონის მოღყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	407.5	
7	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	407.5	
8	ახალ დაგებულ ხე-მცენარების მოვლა	ცალი	20	
9	ახლად დარგული ხე-მცენარეების, ყვავილნარების და გაზონის მორღვა	ყველა მცენარე და გაზონი		

საპროექტო მცენარეთა ვიზუალიზაცია



1 Acer platanoides



2 Prunus cerasifera



3 Fraxinus excelsior



4 Tilia begoniifolia



5 Ginkgo biloba



6 Tilia americana



7 Platanus

დენდროლოგიური პროექტის
საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: შპს "ჯითი ინვესტი"
ს/ნ405123691

საპროექტო ტერიტორია: ქ.თბილისი, გურამიშვილის გამზირი №28
ს/კ 01.12.08.016.006

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი:

გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი:
მაისი, 2022 წელი

კ-3 | 407.5მ/კვ

ჩასარგავ ხე-მცენარეთა სახეობები:

1. **Acer platanoides-3**ძ
მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი
(სიმაღლე 3-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
2. **Prunus cerasifera-2**ძ
წითელი ტყემალი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
3. **Fraxinus excelsior-2**ძ
ჩვეულებრივი იფანი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
4. **Tilia begonifolia-2**ძ
კავკასიური ცაცხვი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
5. **Ginkgo biloba-3**ძ
ორნაკვთიანი ბინკგო (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
6. **Tilia americana-6**ძ
ამერიკული ცაცხვი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)
7. **Platanus-2**ძ
აღმოსავლური ჭადარი (სიმაღლე 3.5-5.5მ, გარშემოწერილობა 0.20სმ, ხნოვანება 5-10წ)

გაშენებული ხე-მცენარეებზე
პასუხისმგებელი:

შპს ჯითი ინვესტი
ს/ნ405123691



გასაშენებელი ხე-მცენარეებზე
მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203441614**
თარიღი: **09/12/2020**
პინი: **8035**

ადრესატი: თემური ჟვანია
პირადი ნომერი: 19001039300
მისამართი: თბილისი შუამთის ქ. N 3 ბ. 22

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური“), თქვენი 2020 წლის 02 დეკემბრის #19/01203372251-18 განცხადებით წარმოდგენილი, საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების და 2020 წლის 20 ოქტომბრის #10/01202942037-18 განცხადებით წარმოდგენილი, #190419701 სანოტარო მოქმედებით დამოწმებული მინდობილობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის თაობაზე, კერძოდ:

საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-6 მუხლის, მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე (მშენებლობის მიზანი დასტურდება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის **2019 წლის 06 მარტის #4399109** ბრძანებით), განთავსებულია ზეხმელი ხეები, სამსახური თანახმაა **ქ. თბილისში, გამზირი გურამიშვილი #28 (ს.კ. #01.12.08.016.006),** შპს ,,ჯითი ინვესტის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში **მოიჭრას 5 ძირი ზეხმელი ელდარის ფიჭვი (#1-48სმ; #2-56სმ; #3-53სმ; #5-67სმ; #6-50სმ) და 1 ძირი ზეხმელი კვიპაროსი (#4-13სმ).**

დადგენილების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, **მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს** ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე გევალებათ; მოჭრილი ხეების სანაცვლოდ (**6 ძირი**), ნებართვის მიღებიდან მცენარეთა განვითარების პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში თქვენსავე ტერიტორიაზე, აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით განახორციელოთ საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა, 2020 წლის 02 დეკემბრის #19/01203372251-18 განცხადებით წარმოდგენილი ხელშეკრულების შესაბამისად.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება ჩაითვლება შეუსრულებლად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ დარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

დამატებით მოგახსენებთ, რომ საკომპენსაციო რგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავის გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ხელშეკრულება

მცენარეების შესყიდვისა და დამატებითი მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი **13 ოქტომბერი 2020 წელი**

მხარეები, ერთის მხრივ **შ.პ.ს „აგრომაქს-დეკორი“** (ს/ნ: 426522337) შემდგომში წოდებული, როგორც „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის ივანე კოპაძის (პ/ნ 59001069583) სახით და მეორეს მხრივ **შპს ჯითი ინვესტი (ს/ნ 405123691)**, შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ია ბარქაიას (პ/ნ 62001001828) სახით, საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ფასი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია მხარეებს შორის შეთანხმებული პროდუქციის და მომსახურების შემსრულებლის მიერ დამკვეთისთვის მიწოდება შეთანხმებულ ადგილას.

1.2. მისაწოდებელი პროდუქციას და მომსახურებას წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-თ მოცემული მცენარეები და მომსახურება. დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.3. შეთანხმებული მისაწოდებელი ტერიტორია მოიცავს დამკვეთის მიერ მოწოდებულ მისამართს ქალაქ თბილისში, რომელიც შეთანხმებულია მხარეებს შორის.

2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი თანხმდება, რომ მოახდინოს დანართი N1-თ მოცემული მცენარეების სრული თანხის ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში ორ ნაწილად, 50% ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი სრული თანხის 50% სამუშაოთა დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

2.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დამკვეთის მიერ შემსრულებლისთვის ხელშეკრულებაში მოცემულ ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით.

2.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების მიზნით საბანკო გადარიცხვა დამკვეთის მიერ მიმწოდებლის ანგარიშზე განხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო თანხა მიმწოდებლის ანგარიშზე აისახება დაგვიანებით, საბანკო ხარვეზის, არასამუშაო დღის და სხვა ობიექტური მიზეზის გამო, რომელიც არ არის განზრახ გამოწვეული დამკვეთის მიერ და განპირობებულია მესამე მხარის, ამ შემთხვევაში ბანკის მიზეზით, არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხსენებული მიზეზით წარმოშობილი შეფერხება დამკვეთის უმოქმედობის შედეგად არ აღმოიფხვრება 7 (კალენდარული) დღის ვადაში.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში მიაწოდოს დამკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო პროდუქცია.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებასთან დაკავშირებული დოკუმენტების ანგარიშ-ფაქტურის, სასაქონლო ზედნადების, მიღება-ჩაბარების აქტის და სხვა დოკუმენტების ორგანიზება.

3.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია პროდუქციის ხარისხზე და მის შესაბამისობაზე შეკვეთასთან.

3.4. დამკვეთი ვალდებულია ჩაიბაროს მიწოდებული პროდუქცია და მომსახურება და დაადასტუროს ყოველივე მიღება-ჩაბარების აქტით.

3.5. იმ შემთხვევაში თუ მიწოდებულ პროდუქციას აღმოაჩნდება ხარვეზი, ან მიწოდებულ პროდუქციაში აღმოჩნდება შეცდომა პროდუქციის სახეობის და მახასიათებლის პარამეტრით, ასეთ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტით ჩამოთვლილ პროდუქციაში უნდა გაკეთდეს პროდუქციის ჩაბარების მომენტშივე შესაბამისი წერილობითი აღნიშვნა და დათქმა, სადაც მიეთითება თუ კონკრეტულად რომელი პროდუქცია არ შეესაბამება და რა ოდენობით ხელშეკრულებით განსაზღვრულს. დათქმას და აღნიშვნას ხელს მოაწერს ორივე მხარე, შემსრულებლის მიერ კი თავისმხრივ 30 (ოცდაათი) დღის ვადაში გამოსწორდება ხარვეზი და მოხდება დოკუმენტაციის და შესაბამისად პროდუქციის კორექტირება მისი ჯამური ღირებულებიდან ამორიცხვა შესაბამისი ფასით.

3.6. იმ შემთხვევაში თუ დამკვეთი მხარის მიერ პროდუქციის ჩაბარების, და შესაბამისად მიღება-ჩაბარებით დადასტურების მომენტში, არ იქნება გამოთქმული ხარვეზის შესახებ პრეტენზია და შესაბამისად არ იქნება ეს ხარვეზი დადასტურებული 3.5. პუნქტით განსაზღვრული წესით, მხარეებს შორის პრეტენზია პროდუქციის ჩაბარებასთან ან ხარვეზთან დაკავშირებით არ განიხილება.

3.7. **შემსრულებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქცია დამკვეთის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუმეტეს 14 კალენდარული დღის ვადაში.**

3.8. **დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლისთვის სამუშაოთა საწარმოებლად ტერიტორიის გადაცემა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტერიტორიაზე სამშენებლო ნაგვისგან გაწმენდა, არასაჭირო ნივთების, დანადგარების და სხვა საგნებისგან ხელშეშლის აღმოფხვრა.**

3.9. **შემსრულებელი თანხმდება იკისროს დარგული მცენარეების მოვლა-პატრონობა დარგვიდან 3 წლის განმავლობაში.**

3.10. **ხელშეკრულების დანართში მოცემულ პოზიციასთან გაზონის მოთესვასთან დაკავშირებით, შემსრულებელი მოთესვის შემდეგ იხსნის მასზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას.**

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულების 2.1. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში დარღვევის მომენტის დადგომისთანავე, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს დამკვეთს, ხოლო დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების დარღვევისთვის ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო თანხის 10 %-ის (ათი) ოდენობით.

4.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტებით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო, ხოლო დამკვეთი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისად 2.1. პუნქტით გადასახდელად განსაზღვრული თანხის 0,1 %-ს (ნოლი მთელი ერთი მეათედი) ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.3. ხელშეკრულების 3.7. პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში დარღვევის მომენტის დადგომისთანავე, დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს

დამკვეთს, ხოლო შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების დარღვევისთვის ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული საერთო თანხის 10 %-ის (ათი) ოდენობით.

4.4. ხელშეკრულების 3.7. პუნქტებით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, დამკვეთი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო, ხოლო შემსრულებელი ასეთ შემთხვევაში ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისად 2.1. პუნქტით გადასახდელად განსაზღვრული თანხის 0,1 %-ს (ნოლი მთელი ერთი მეათედი) ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

4.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

4.6. მხარეები ვალდებულებას იღებენ განსაზღვრული პირგასამტეხლო გადაიხადონ იმ დღის დადგომამდე, ვიდრე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება სრულად არ იქნება შესრულებული.

5. ფორს-მაჟორი

5.1. ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორად განიხილება, თუმცა არ შემოიფარგლება, შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია საომარ მდგომარეობასთან, ისეთი ტიპის სტიქიურ უბედურებასთან რომელიც შეუძლებელს ხდის მოცემული სტიქიური მოვლენის მომენტში ხელშეკრულების ხელმომწერი მხარის ფუნქციონირებას. ასევე ფორს-მაჟორად ჩაითვლება დაუძლეველი ძალა, როგორიც შეიძლება ასევე იყოს გაფიცვა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ფორს-მაჟორული მდგომარეობის პირობებში შეჩერებულ იქნება ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის დინება, ისევე როგორც პირგასამტელოს ვადის დინება.

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაუძლეველი ძალის, სტიქიის, საომარი მდგომარეობის ან სხვა ფორს-მაჟორული მდგომარეობის დამთავრებიდან 1 (ერთი) თვის ვადის შემდეგ ხელშეკრულების ყველა პირობა კვლავინდებურად შევა ძალაში.

6. დავების განხილვის წესი

მხარეებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკები გზით, ხოლო თუ მხარეებს შორის მოლაპარაკება შეუძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

7. კონფიდენციალურობა

მხარეები ვალდებული არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც, დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა ინფორმაციის

გამჟღავნების თაობაზე მხარეთა შორის წინასწარი წერილობითი შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარესთან.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილი იქნეს ვადაზე ადრე:

- მხარეთა შეთახმებით ან/და
- მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულებისას, რის შედეგად მეორე მხარემ დაკარგა ინტერესი დამრღვევის მხრიდან ვალდებულების შემდგომ შესრულებაზე.
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე აცნობოს წინასწარ 5 სამუშაო დღით ადრე.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იდენტურ 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ინახება მხარესთან.

8.5. ხელშეკრულებაში მოხსენიებული ნებისმიერი ვადა თავის თავში გულისხმობს მხოლოდ იმ ვადას რაც კონკრეტული პუნქტითაა განსაზღვრული, სხვა ყველა ვადა გულისხმობს კალენდარულ დღეს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი	დამკვეთი
შპს „აგრომაქს-დეკორი“ ს/ნ 426522337, სოფ. სართიჭალა	**შპს ჯითი ინვესტი (ს/ნ 405123691)**
საბანკო რეკვიზიტი: საქართველოს ბანკი, GE16BG0000000773408100	საბანკო რეკვიზიტი:
ხელმომწერი პირი: ივანე კოპაძე პ/ნ 59001069583 საკონტაქტო პირი: სერგეი ზარემბა (T:+995598933077) ივანე კოპაძე (T:+995599445527) sergei@ag-decor.com	ხელმომწერი პირი: ია ბარქაია (პ/ნ 62001001828)

შემსრულებელი - ხელმოწერა/ბეჭედი:

Ivane Kopadze Digitally signed by Ivane Kopadze
Date: 2020.10.13 13:23:52 +04'00'

---------- /_____/ _____

ხელმოწერა სახელი სრულად თარიღი

დამკვეთი - ხელმოწერა/ბეჭედი:

---------- / ია ბარქაია / 13.10.2020

ხელმოწერა სახელი სრულად თარიღი

დანართი N1		13/10/2020 წ.			
დასახელება	**რაოდენობა**	**სიმაღლე (მ)**	**გარშემოწერილობა**	**ერთ ფასი**	**ჯამი**
Acer platanoides	3	3,5-5,5	14სმ+	480	1440
Prunus cerasifera	2	3,5-5,5	14სმ+	470	940
Fraxinus excelsior	2	3,5-5,5	14სმ+	515	1030
Tilia ẞegonifolia	2	3,5-5,5	14სმ+	525	1050
Ginko biloba	3	3,5-5,5	14სმ+	720	2160
Tilia americana (საკომპენსაციო რგვა)	6	4-5,5	20სმ+	650	3900
2 ხე, რომელიც ადრე იქნა მოჭრილი (platanus)	2	3,5-4	14სმ+	440	880
ხეების მოვლა-პატრონობის ღირებულება 3 წლის განმავლობაში შედის მცენარეთა ფასში					11400
					დღგ ჩათვლით
	რაოდენობა	**ფასი**			**თანხა**
დარგვა (ორმოების ამოღება, სუბსტრატის დამატება ორმოებში, ხის ფიქსაცია ჭიგოთი, დარგული ხის მორწყვა)	20	45			900
ნოყიერი სუბსტრატი დანარჩენი ტერიტორიისთვის	90	60			5400
ტერიტორიის მოშანდაკება კვ.მ	380	7			2660
გაზონის ბელტის დაგება კვ.მ	300	16,5			4950
გთხოვთ შეგვიფასოთ მოცემული ვერსიით მთლიანობაში.					13910
დასამუშავებელი ფართის დაზუსტება შესაძლებელია ადგილზე					25310

მის: გურამიშვილის გამზირი N 28

პატივისცემით ჯითი ინვესტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ გიგა გიგაშვილს,

დამოუკიდებელ ექსპერტ გრიგოლ დეისაძის

პრობლემური მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ნაკვეთის მეპატრონის,- შპს „ჯი-თი ინვესტის“ ს/კ 405123691 მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთზე,- საკადასტრო კოდით: № 01.12.08.016.006 ; მისამართზე,- ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №28,- არსებული ზეხმელი და ავარიული მერქნიანი მცენარეები. ნაკვეთი არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა ფართობით - 1819.00 კვ.მ.

კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 25 ივლისს. მცენარეები შეფასებული იქნა ვიზუალურად; აიზომა; მოვახდინეთ მცენარეების ციფრული ფოტოფიქსაცია. ჩვენს მიერ შეფასდა და აიზომა მათი დიამეტრები ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე ხეებისათვის, სიმაღლე, სიჯანსაღე (ვიზუალური ნიშნებით დაფიქსირდა მექანიკური დაზიანება და/ან დაავადებათა არსებობა).

ნაკვეთზდ ფიქსირდება 6(ექვსი) ერთეული ზეხმელი ხე:

1. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)-ხე სიმაღლით 7 მეტრი, დიამეტრი ნიადაგის ძედაპირიდან 10 სმ. დონეზე 48 სმ.
   ხე ზეხმელია. ხის კრონისა და ტოტების 85%-ზე მეტი ხმელია და ხე წარმოადგენს ქარვარდნის საფრთხეს.





2. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)-ხე სიმაღლით 8 მეტრი, დიამეტრი ნიადაგის ძედაპირიდან 10 სმ. დონეზე 56 სმ.
   ხე ზეხმელია. ხის კრონისა და ტოტების 80%-ზე მეტი ხმელია და ხე წარმოადგენს ქარვარდნის საფრთხეს.



3. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)-ხე სიმაღლით 9 მეტრი, დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე 53 სმ.
   ხე ზეხმელია. კრონა და ტოტები სრულად ხმელია და ხე წარმოადგენს ქარვარდნის საფრთხეს.



4. კვიპაროზი (Cupressus sempervirens) -ხე სიმაღლით 8 მეტრი, დიამეტრით ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე,-13 სმ.
   ხე ზეხმელია. კრონა და ტოტები სრულად გამხმარია; ხე წარმოქმნის ქარვარდნის საფრთხეს.



5. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)-ხე სიმაღლით 9 მეტრი, დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე 67 სმ.
   ხე ზეხმელია. კრონა და ტოტები სრულად ხმელია და ხე წარმოადგენს ქარვარდნის საფრთხეს.



6. ელდარის ფიჭვი (Pinus eldarica)-ხე სიმაღლით 8 მეტრი, დიამეტრი ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე 50 სმ.
   ხე ზეხმელია. კრონა და ტოტები სრულად ხმელია და ხე წარმოადგენს ქარვარდნის საფრთხეს.



დასკვნა-რეკომენდაცია

შესავლილი ზეხმელი და ხმობადი მერქნიანი მცენარეები შეუქცევადად მომაკვდავი ან მკვდარია. მათი ამ მდგომარეობაში დატოვება სარისკოა არამარტო ქარვარდნის, არამედ პარაზიტებისა და დაავადებების გავრცელების წყაროს სახითაც.

აუცილებელია ამ ხეების მოჭრა და უსაფრთხო (ინფექციური თვალსაზრისით) უტილიზაცია.

27.08.2020

გრიგოლ დეისაძე -